საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი 27 აგვისტო 1915 წ.

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. [illegible] ტებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 162 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 162

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.


ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

## დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50°/₀-დან 75°/₀-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

---

დ. ყვირილაში სამოსწავლო მთავრობის ნებართვით, ყუბარაძის სახლში

## გაიხსნა მოსამზადებელი სასწავლებელი,

სადაც მომზადდებიან ბავშვები ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლისათვის: გიმნაზიის, რეალურის, კომერციულისთვისა და სხ.

ფასი ოცი მანეთიდან წელიწადში. სტუდენტი ვარლამ ფერაძე.

14—3—963

---

ექ[illegible] გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავა[illegible] იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის უოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

---

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.

---

გაბრიელ იოსების ძე

**ექიმი გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.

ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

---

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი

ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი

8 მაისიდან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი და ნაშუადღევის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, ჭმოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

---

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი** მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ.

---

**კერძო ექიმი** მიხეილ კაშია

კურნავს ყოველგვართვალის ტკივილს ავათმყოფობას დებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

---

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

## ქ. ქუთაისი.

**ექიმი ქალი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა

ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. ჩ სალ. 5—6 ს.

ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.

თვ. 975

---

**დაიბეჭდა** ა. გარსევანიშვილის წიგნაკი მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული.

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

---

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოპოებული

## მ. ზ. კვინიხიძის

(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).

აცხადებს, რომ მისაღები გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან, სწავლა კი 1 სექტ. პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე საანბანო განყოფილება, სადაც მიიღებიან სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.

---

ანნა ლუარსაბის ასული ქავთარაძისა და ელისაბედ ლუარსაბის ასული მეძმარიაშვილი

მომავალი ენკენისთვიდან, გენერლის ქუჩაზე, ნიკოლოზ ზაალის ძის ბადრიძის სახლში ხსნის

## ქალ-ვაჟთა მოსამზადებელ სკოლას საბავშო ბაღით.

სწავლის ფასი თვეში 10 მ.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან. 6—1

---

**გამოვიდა და იყიდება** მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ქართული წიგნი:

„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,

შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი 6 აბაზი.

---

**აფთიაქი** კორბოულის საჩქაროთ იცემა იჯარით.

პასუხისათვის მარკა.

ხობში, ოგანეზოვს. 3—2—967


---

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### კავკასიის ასპარეზი.

**ტფილისი.** 24 აგვისტო. ოფიციალური. 22 აგვისტოს განმავლობაში ზღვის პირის რაიონში სროლა იყო. ოლთისის მიმართულებით ტევის რაიონში ოსმალები პოზიციებზე უშედეგოდ ისროდნენ. სოფ. ალხიზისას და კაპიკანის რაიონში ჩვენ მზვერავებს შეტაკება მოუხდათ ოსმალებთან. ვანის მიმართულებით ჩვენმა მზვერავებმა კარგი მოქმედება გამოიჩინეს. დანარჩენ პირზე ცვლილება არ მომხდარა.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან 24 აგვისტო. ოფიციალური. რიგა-დვინის პირზე და დვინისკი მიმართულებით არსებითი ცვლილება არ მომხდარა. სვენტასა და ვილიას შუა, აგრეთვე ვილიასა და ნემანს შუა მდგომარეობა წინანდებურია. შუა ნემანზე მერეჩსა და პესკის რაიონებში გერმანელები 23 აგვისტოს ღამის განმავლობაში, აგრეთვე მეორე დღესაც, შეეცადნენ შემოტევის დაწყებას. აქ ბრძოლა გრძელდება. ნემანიდან სამხრეთით პრიპეტამდე ჩვენს ჯარს ძველი პოზიციები უპყრია. უფრო მეტი სურვილი შემოტევისა გერმანელებმა გამოიჩინეს 23 აგვისტოს ვოლკოვისკის რაიონში. ისინი წამოვიდნენ სედლეციდან იზელდით მიმავალ რკინის გზის გასწვრივ (ხომკის რაიონში) და აგრეთვე პინსკზე მიმავალ რკინის გზის დასწვრივ (დროგოჩინის რაიონში) ყოველმა ცდამ უნაყოფოთ ჩაუარა. ამ პირის დანარჩენ ადგილებში მხოლოდ საარიერგარდო შეტაკება ხდებოდა. პოლესიეს სამხრეთით მტერი განაგრძობს უმთავრესი ძალებით შემოტევას ლუცკის რაიონიდან დუბნოსა და როვნოსაკენ მიმავალ გზებით, სადაც მდგომარეობა საერთოდ არ შეცვლილა. ჩვენი კერძო იერიშების დროს 23 აგვისტოს სოფ. ვორბინთან ჩვენ დავატყვევეთ რვა აფიცერი და 300 ჯარის კაცი. სერეტზე მხოლოდ მისი შესართავის რაიონში სცდილობდნენ შემოტევის დაწყებას. შეტევას აპირებდა როგორც ჩვენი, ისე მტრის ჯარიც, მაგრამ თვალსაჩინო შედეგი ამ ცდას არ მოჰყოლია. 22 აგვისტოს განმავლობაში ჩვენ დავატყვევეთ, 400 ჯარის კაცი და ხელთ ვიგდეთ 4 ტყვის მფრქვეველი.

---

# ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

რუსეთი.

### ომი და ხარკოვის მუშები.

11 აგვისტოს ქ. ხარკოვში „მუშათა სახლში“ ქვეყნის დაცვის, სიძვირესთან ბრძოლის და გადმოხიზნულთა დამხმარე კომისიების მუშათა წარმომადგენლები შეიკრიბენ. კრებას დაესწრო აგრეთვე: 9 საავათმყოფო კასის და 3 პროფესიონალური კავშირის და სასოფლო სამეურნეო დაწესებულებათა მოსამსახურეების საურთიერთო დამხმარე საზოგადოების წარმომადგენელნი. მუშათა წარმომადგენლების თათბირმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა მოეწყოს ცალ-ცალკე ყველა პროფესიების და წარმოების ყველა დარგების მუშათა შორის საერთო კრებები რათა ნიადაგი მომზადდეს ქ. ხარკოვის მუშათა საქალაქო სიეზდის მოწვევისათვის. სიეზდის მიზანი იქნება გამოარკვიოს, თუ რა გზით და რა საშუალებით დაიცვან მუშებმა სამშობლო ქვეყანა და რითი ებრძოლონ სიძვირეს. თათბირმა თავის წრიდან აირჩია წევრები 4 სხვა და სხვა კომისიისათვის. მუშათა წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა გადმოხიზნულ მუშებისათვის დაიქირაოს ორი ბინა, გამოუშვას მოწოდება მუშებისადმი, რათა თავისი პირადი შრომით და სხვა ფრითაც დახმარება გაუწიონ გადმოხიზნულ მუშებს; თათბირმა დაადგინა, მოიწვიოს მუშების საერთო კრება, რომელზედაც მუშების ცოლებიც დაესწრებიან.

---

ჲ პეტროგრადიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ სახელ. სათათბიროს ულუარებში ხმა დადის: დუმას დაითხოვენო. ზოგიერთები ირწმუნებიან, რომ როგორც კი პოლივანოვს მთავარ-მინისტრათ დანიშნავენ, სათათბიროსაც მაშინ დაითხოვენო; ხოლო ზოგიერთების აზრით კი ეს უფრო ადრე მოხდებაო.

(კ. ს).

### უმაღლესი გამომძიებელი კომისია.

კომისიამ სენატორ პოსტნიკოვს მიანდო, რომ სამინისტროს მოხელეების მონაწილეობით გამოიძიოს მოქმედებანი ყოფილი სამხედრო მინისტრის, სუხომლინოვისა.

## რუსეთი.

### ფინანსთა მინისტრის განმარტება ხურდა ფულის შესახებ.

იმპერიის ბევრ ალაგას საზოგადოთ და კერძოთ პეტროგრადში ამ ბოლო დროს თავი იჩინა ერთმა უცნაურმა მოვლენამ: მცხოვრებთა მასამ მოითხოვა ქაღალდის ფულის ვერცხლის ფულზე დახურდავება.

ბევრი აღმოჩნდა ისეთი, რომელთაც ჰგონიათ, რომ თუ ვერცხლის ხურდა ფულს ბევრს დააგროვებენ, ამით თითქო ბევრს რასმეს მოიგებენ. მათი აზრით, ვითომ ვერცხლის ხურდა ფულის ღირებულება მატულობს, მაშინ როდესაც ქაღალდისა—თითქო კლებულობს.

ასეთ პირებს ავიწყდებათ, ან ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ვერცხლის ფულზე აღნიშნული ღირებულება სულაც არ უდრის ნამდვილ მის ღირებულებას. კანონის ძალით ერთი ფუთი ხუთასიანი დამღის ვერცხლის ლითონისგან იჭედება 910 მანეთი, ხოლო ასეთი სპილენძ ნარევი ლითონი კი ბაზარზე იყიდება 453 მანეთად.

ზემოხსენებული პირები, გარდა იმისა, რომ კანონით ბევრნაირ სასჯელს უნდა მოელოდენ, იმასაც უნდა ფიქრობდენ, რომ შემდეგში მათგანვე დაგროვილი ვერცხლის ხურდა ფული მათვე დიდ დაბრკოლებას და ზარალს მიაყენებს.

საქმე ისაა, რომ სახელმწიფო კასები არავითარ გადასახადებს ხურდა ფულით 3 მან. ზევით არ ღებულობენ და ამნაირათ, ვისაც ხელთ საჭირო დროზე საკმაო ქაღალდის ფული არ ექნება, მეტათ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება და სხვ...

(რ).

## ომის ამბები.

### ჯარის ამჯანყება.

გაზეთს „კ. ს" პეტროგრადიდან აუწყებენ, რომ გერმანიის ჯარში, რომელიც ბელგიაში დგას და რომელსაც ქ. იპრის წინააღმდეგ იერიშით წასვლა უბრძანეს, არეულობა დაიწყო. ბევრი სამხედრო საველე სამართალში მისცეს, 700 კაცამდე უკვე დახვრიტესო.

### ზავის სათხოვრათ.

„რ. ვ." ამსტერდამიდან აუწყებენ, რომ „მშვიდობიანობის" საზოგად. 43 წევრისგან შემდგარი დელეგაცია ამერიკაში გაემგზავრა, რომ ვილსონს სთხოვოს, რათა მან მეომარ სახელმწიფოთა შუამავლობა იკისროს და ზავი ჩამოაგდოსო.

## სასიამოვნო ამბავი.

დიდათ სასიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ ქუთაისურებს და მთლად იმერეთის ქართველობას.

სექტემბრის ნახევრიდან თუ არა, სექტემბრის გასულიდან მაინც უეჭველად გაიხსნება ქუთაისის სასულიერო სემინარია.

ამ სემინარიას თვისი საყურადღებო ისტორია აქვს და ამ ისტორიას შემდეგ დავუბრუნდებით.

ახლა კი აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტიურ მხარეს სემინარიის დაარსებისას.

მას შემდეგ, რაც ქუთაისის სემინარია დაიხურა, ადგილობრივი მღვდელ-მთავრები ბევრსა სცდილობდენ მის აღდგენაზე. სხვათა შორის ბევრი იშრომა ყოვლადსამღვდელომ იმერეთისამ გიორგიმ.

შეადგინა დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა, რამდენჯერმე აღძრა დასაბუთებული შუამდგომლობაც, მაგრამ უმაღლესი მთავრობა ჯერ-ჯერობით ამ შუამდგომლობას ანგარიშს არ უწევდა.

თუ არა ვსცდებით, შარშან ზამთარში ყოვლად სამღვდელო გიორგის მოხსენებისამებრ ქუთაისში სემინარიის დაარსების საკითხმა კვლავ იჩინა თავი და საქართველოს ეგზარხოსის მიერ საგანგებო დეპუტაციაც კი იქმნა გაგზავნილი პეტროგრადს, ქუთაისში სემინარიის დასაარსებლად ნებართვის გამოსატანად.

ეს დეპუტაციაც ვერას გახდა.

ახლა-სრულიად მოულოდნელად, საქართველოს ეგზარხოსს დეპეშა მოსვლია:

გამოარკვიეთ—შეუძლია თუ არა იმერეთის სამღვდელოებას ახლავე სექტემბრიდანვე გახსნან სემინარია და ხარჯთ-აღრიცხვაც წარმოადგინეთო.

ამ საკითხის გამოსარკვევათ გუშინწინ, 25 აგვისტოს, დილით, ქუთაისში ჩამოვიდა სემინარიის რექტორი და ყოვლადსამღვდელო გიორგი ინახულა. რადგანაც ეპისკოპოსს გიორგის ყველაფერი უკვე გათვალისწინებული და მომზადებული ჰქონდა, გადაჭრილი პასუხიც მიიღო:

სემინარიის გახსნას წინ არა უდგია რაო.

იმავ დღესვე რექტორმა დაათვალიერა სასულიერო სასწავლებლის კლასები, სამოსწავლო პარტები და მოწყობილებანი, ხოლო სადამოთი საგანგებოთ მოწვეულმა პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა:

—სასულიერო სასწავლებელთან გაიხსნას ჯერჯერობით ორი კლასი სემინარიისა (პირველი და მეორე კლასი). მასწავლებლებიცა და მოწაფეებიც საკმაოა, რომ სექტემბრიდან სწავლა უკვე დაიწყოსო.

პირველ კლასში მიღებულ იქნებიან ის მოწაფენი, რომელთაც წელს დაასრულეს ოზურგეთის სენაკისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლები, ხოლო მეორე კლასში მიიღებენ თბილისის სასულიერო სემინარიის მეორე კლასის იმერელ-მოწაფეებს, რადგანაც თბილისის სემინარიაში, ომიანობის გამო, ჯერ-ჯერობით სწავლა არ არის და არც იციან, როდის დაიწყება.

ამ გვარად იმერეთის სამღვდელოებას საშუალება ეძლევა თავისი შვილები, ასე ვსთქვათ, თავის სახლში იყოლიოს და უფრო გულმშვიდათ მოამზადოს მომავალი ქართველი მოქალაქეები, მით უმეტესს, რომ სემინარიას ამ ჟამად დიდი უფლებები მიეცა და სემინარიის ოთხკლასიანსაც-კი რუსეთის ყველა უმაღლესს სასწავლებლის კარები ღია აქვს.

დაფასდა და დაჯილდოვდა აგრეთვე ზრუნვა და შრომა ყოვლად სამღვდელო გიორგისაც.

ვუსურვებთ ამ ახალ სასწავლებელს დღეგრძელობას და მის ხელმძღვანელთ რიგიან და სასარგებლო მოქალაქეების აღზრდას.

**ძველი სემინარიელი.**

P. s. დამავიწყდა თავის ადგილს მეთქვა, რომ ქუთაისის სემინარიას ყოველ წლივ მიემატება თითო კლასი და საკუთარ შენობის აგებასაც მალე შეუდგებიან.

ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ სემინარიას უკვე აქვს თავისი საკუთარი ადგილი—ვიტუშინსკისეულად წოდებული, მაგრამ, რადგანაც ეს ადგილი შედარებით მცირეა, ყოვლად სამღვდელო გიორგის აზრათა აქვს ამ ადგილის გაყიდვა, ან გაცვლა.

ამისთვის მას შეუგულებია საჭირო ადგილი სადორის ტყეში—ქალაქის სააავადმყოფოს მახლობლად.

იმედია, ქუთაისის ქალაქის გამგეობა თავის მხრით ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს ქუთაისის განახლებულ სემინარიას. **ძვ. სემ.**

## მცირე პასუხი

დიტ (სპ...)

რუსეთის დღევანდელი საბედისწერო მომენტი, სხვათა შორის, ცხადია, ქართველობასაც ბევრს რასმე გვიქადის. ამას ყოველი ქართველი გრძნობს და რომ თავისი იმედი განახორციელებული იხილოს, ამისთვის იგი დიდი რუსეთის ხალხს „თვალებში" ჩასჩერებია: ვინძლო კარგათ ამოვიკითხო, თუ რა სწადია მას, რა გზას ადგება და აქედან კარგათ გავითვალისწინო, თუ რა „ბედი" მოელის თვითონ მეო.

ასე გრძნობს და ასე ფიქრობს ქართველი ხალხი, ხოლო ასე არ მსჯელობენ ზოგიერთი ქართველი პუბლიცისტები. მათი აზრით, თუ ქართველმა ხალხმა რამე მოისურვა და ეს სურვილი რომელიმე გამბედავმა დეპუტატმა საქვეყნოთ გამოაცხადა, მორჩა, გათავდა: რუსეთის მთავრობა, სახელმწიფო სათათბირო და სახელმწიფო საბჭოც ქართველი ერის სურვილს ყურადღებენ და, მიუხედავათ იმისა, თუ რა სურს თვითონ რუსის ხალხს და რისთვის იბრძვის იგი, დაუყონებლივ დაადგენენ: მიეცით ქართველს ყოველივე, რასაც კი მოითხოვს და ამიერიდან „იყავნ ნება მისიო". ალბათ, ასე ოცნებობენ ზემოხსენებული პუბლიცისტები: მაგრამ ერთი უბრალო რამ კი დავიწყებიათ; სახელდობრ ის, რომ ყოველი ძირითადი მოთხოვნა, ეროვნულია ის თუ კლასიური, ყოველთვის „შრომით გაჰყავთ" ხოლმე და არა ვედრებითა და სურვილების გამოთქმით. ახლა მითხარით: რა ძალა შესწევს განმარტოებულ ქართველ ერს, თუგინდ მისივე ეროვნულ ინტერესების დაცვაში, თუ იგი მჭიდროთ არ დაუკავშირდება რუსეთის ხალხს და მასთან ერთად არ მოითხოვს მოსათხოვნელს?

აშკარაა, რომ არავითარი!

ამაში თვით „სახალხოც" კი გვეთანხმება ბ-ნ თ. ღლონტის პირით. მიუხედავათ ამისა იგივე „სახალხო" 361 № ში არ. ჯ—შვილის პირით აცხადებს: „ჩვენი დეპუტატები რუ-

*) ჩვენი აზრი ქართველ დეპუტატების დუმილის შესახებ სათათბიროს 19 ივლისის კრებაზე, თავის დროზე გადაჭრითა და მკაფიოდ გამოვსთქვით (იხ. სამშობლო № 139). არსებითად ამავე აზრისაა ბ-ნი გიგო დემოსიძეც.

რაც შეეხება კერძოთ ჩვენ „დასელებს", მათი ძველი მოქმედება და ტაქტიკა ჩვენ არა ერთხელ გვიმხილებია.

არ ვიზიარებთ რა მათ პროგრამას და ტაქტიკას, ჩვენ მაინცა გვწამს, რომ საქართველოსა და მის მშრომელ ხალხს იხსნის მხოლოდ მტკიცეთ შეკავშირებული ორგანიზაცია, რკინის დისციპლინა და თავგამოდებული მუშაობა. ასეთი ორგანიზაცია კი მხოლოდ ჩვენებურ „დასელებსა" აქვთ და, თუ მტკიცედ გამოიმუშავეს „ეროვნული საკითხი" და მისი აუცილებლობა მასსასაც უქადაგეს,— (რის უტყუარი ნიშნები უკვე სჩანს], ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ ბევრ გაუგებრობას ბოლო მოეღება და ერთ დროს სასახელოდ გვექნება, რომ მთელი რუსეთის ხალხს „იმ შავბნელ დროში" მაინც ისევ ქართველები მიუძღოდნენ წინ, ეს კი ისეთი პლიუსია, რომ სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ამ პლიუსის გულისათვის არ უნდა გვეკადრებინა ქართველი დეპუტატების საჯაროთ გაბიაბრუება, რედ.

## სუფრასთან.

დალიე, მაგრამ გაფიცებ ყოველს, ნურაფერს იტყვი საქართველოზე,
ბევრჯერ მსმენია ლამაზი სიტყვა გრძნობით ნათქვამი სადღეგრძელოზე...
შენ ის მიამბე, ამ მოკლე ხანში ვინ მოიხიბლე ეშხით ან ვერცხლით,
ვის ტუჩს შეეხე ვნებიან კოცნით, ვინ დასწვი ტრფობის მგზნებარე ცეცხლით.

ვისთან ატირე ფიქრთა ამშლელი ნაზი დუდუკი, ან სხვა რამ კიდე,
შეგრჩა კვლავ სადმე მამულ დედული, თუ შენც ჩემსავით გაფლანგ-გაყიდე...
სთქვი და დალიე, ბრძნულ-სიტყვაობა არ შვენის სუფრას და სადღეგრძელოს,
მე და შენ წითელ კახურში გავცვლით წმინდა იდეალს და საქართველოს.

დ. ხონი. **დ. ცვარნამი**

## ძველი ფარაჯა.

**(მინიატურა).**

...მატარებელი შეჩერდა ქართლში, მტკვრის პირას მდებარე რკინის გზის ერთ პატარა სადგურზე, რომლიდანაც, სხვა მგზავრთა შორის გადმოვიდა დასახიჩრებული ვანოც; რომელიც სამუდამოთ გაენთავისუფლებინათ სამხედრო სამსახურიდან, რადგანაც ცალი ფეხი აღარა ჰქონდა. ის ნელა ჩამოვიდა მხრებით ბოწკინტებზე დაყრდნობილი და მგზავრობით დაღალულმა, ტკივილებისაგან შეწუხებულმა უძილო თვალები მიმოავლო მშობელი ქვეყნის მიწა-წყალს...

თუმცა არაფერი ჰქონდა სასიხარულო, მაგრამ მაინც უხაროდა; გული უცნაურად უცემდა და ქუთუთოებიც სიხარულის ცრემლებით უსველდებოდა:

— მადლობა ღმერთს,—ამბობდა ის—რომ ცოცხალი დავბრუნდი... კაცად თუ აღარ ვარგივარ, სული მაინც იგივე შემრჩა, როგორც წინაპართ და იმავე მხრის კალთა მეც მეღირსება გადასაფარებლად, რომელმაც ჩაიხუტა მკერდში მამა-პაპანი!..

ოჰ! ვ ნ უწყის! რამდენი ინატრებდა ვანოს ხვედრს, როდესაც მძვინვარე ცეცხლის ალში იხრუკებოდენ და ტყვიით განგმირულნი ძირს ეცემოდენ?!

ვანო მოვიდა შორეულ ჩრდილოეთიდან, სადაც დასტოვა მრავალი თანამემამულე, ცუდ—ცივ ევროპის ველ მინდვრების გასაპოხიერებლად. მოაშურა მშობლიურ ბუდეს, რადგანაც ტკბილია იმ მიდამოს ყურება და სუნთქვა იმ ჰაერით, სადაც გაატარა სიყრმე სიჭაბუკე. მოვიდა... მაგრამ დახვდება კერა ისეთივე, როგორც დასტოვა, თუ ქარი ზუზუნით ნადირთა ყმუილს გარს მიმოაგდებს მის სახლის ნგრეულ კედლებს? მოვიდა, მაგრამ რა იცის, თუ შვილები შიმშილმა უმსხვერპლა და ცოლი უგზო-უკვლოდ სად იარება?..

უყურებს თავის სოფელს, ბურუსით მოცულს და სოფლის ბოლოს მოდუდუნე მტკვარს, რომელიც გულ ჩათხრობილი რაღაცა საიდუმლოს მოსთქვამს უტყვი ენით, ეს კავკასიონის მუტრიბი, ქართველთა სისხლით წითელ ზოლებათ ნაქარგი სალარო, რომლის წიაღშიც ჩამარხულ არს: ცა ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტოვან, ტურფა ქვეყნის ძეთა საუნჯე—ქართველის ცხოვრება.

გასცქერის მწუხრის ჩადრით გადათალხულ არე მარეს და უკვდება გული, როს ხედავს გაპარტახებულ ვენახ-ნაფუზრებს და ხოდაბუნებს, რომლებიც გამოიყურებიან ობლად, უპატრონოდ—რადგანაც მოაკლდათ აწიდნავნი და მხვნელ-მთესველნი, რომელნიც მოსწყდნენ მასაზრდოებელ კერას, სიცოცხლით სავსენი და უცხოეთში განუტევეს სული... ვინ იცის! მოიგონებს ვინმე მათ გმირულ სახელებს?..

ვანო გაჰყვა მდინარის პირას ბილიკს ლასლასით და თუ მოსვლისას უხაროდა, ეხლა ემძიმებოდა მისვლა: შინ. თითონაც ვერ მიმხვდარიყო რა დაემართა ამ წუთში და უნებურათ ჩამოჯდა ფერდობზე; მიეცა მწველ ფიქრებს...

იქნება თავის წარსული უნაკლოულობა აგონდებოდა და სიმახინჯე აღონებდა?

— იტირე ქართლო! ეგ ხომ ხვედრია შენი ცხოვრების?! იგლოვე და ივალალე, არა ცრემლით, არამედ შენებურად: კაეშნიანი სიმღერით, სევდიანი სიცილით და მაგ ტირილში გამოზარდე მომავალი გმირები ბედკრულ ივერიისა!..—ესა სთქვა და გაჰხედა ნისლით გარემოცულ სამშობლოს ცად აწვდენილ მთებს... მერე რა მოიტანა ამ სიტყვების მთქმელმა, რა მოჰყვა თანა?

— ძველი ფარაჯა...

**ს. ერთაწმინდელი.**

სეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები არიან“...... ამნაირათ „ქართველ ხალხს სათათბიროში დეპუტატები არა ჰყავსო“.

ამისი მტკიცება უგნურებაა.

ვინაიდან ქართველი სოციალ-დემოკრატები სამშობლოს მოღალატეებათ გამოჰყავთ.

მთელი მათი მტკიცება უტყუარი დასკვნაა ასეთი წინდაუხედაობისა, მაგრამ მათდა სამწუხაროდ დღევანდელი დიდებული მომენტის ვითარება აშკარათ, ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი (დასკვნა) სოციალდემოკრატების შესახებ ყოვლად უსაფუძვლოა. დღეს ყველა ქვეყნის სოციალდემოკრატები მშრომელ ხალხთან ერთად სამშობლოს დამცველებად გამოდიან და ყველასთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა დიდი სახელმწიფოების მთავრობებმა თვითონვე მიმართეს სოციალდემოკრატიას: გვიშველეთ, დაგვეხმარეთო.

თითქმის მეთქი, რომ ვამბობ, ეს იმიტომ, რომ ერთად ერთი რუსეთი დარჩა, რომელმაც ამ გზას აუხვია და სოციალდემოკრატებს უნდო თვალით შეხედა, ისე, როგორც უნდოთ უყურებს სხვა უკიდურეს მემარცხენე ჯგუფებსაც.

„სახალხოს“ თუ დავუჯერებთ, ის შეუძლებლათაც სცნობს, რომ სოციალდემოკრატმა დაჩაგრული ერის ინტერესი დაიცვას. მისი აზრით, ქართველმა ერმა ჩხეიძეს და ჩხენკელს კი არ უნდა მიმართოს საყვედურით: რატომ არ იცავთ ჩემს ინტერესებსო, არამედ „დასელებს“: თითქო მხოლოდ მათ გაგზავნეს ისინი დეპუტატებათ სათათბიროში.

ამაზე ბევრი რამ ითქმის, მაგრამ დღეს ასეა თუ ისე, საქართველოდან მხოლოდ ეს ორი კაცია არჩეული დეპუტატებათ.

დემოკრატიული პრინციპი გვავალებს, რომ ვიცნოთ ისინი ქართველთა ერის წარმომადგენლებათ; ხოლო თუ მათ ეროვნული პოლიტიკა“ არ უვარგათ, ჩვენი ვალია მთელი ჩვენი ძალ-ღონე, ენერგია პოლიტიკური შემჭრიახობა მხოლოდ იმას მოვახმაროთ, რომ ქართველმა ხალხმა მათ ნაცვლად სათათბიროში „ეროვნული დეპუტატები“ იყოლიოს.

— ეს ხომ დღეს ყოვლად შეუძლებელია?!

შემომძახებს ისევ ძღმფოთებული „ყალბი პატრიოტი“.

— დიახ, გეთანხმებით, რომ შეუძლებელია და სწორეთ მით უფრო იძულებული ვხდებით დღევანდელ მომენტში, რომ ისინი ქართველი ერის დეპუტატებათ ვიცნოთ.

რაც შეეხება საყვედურს, რომ ჩვენმა დეპუტატებმა თავის სადეკლარაციო წლევანდელ სიტყვაში ქართველი ერი და მისი განსაკუთრებული ინტერესები არ მოიხსენეს ქართველი ერის დღევანდელი გასაჭირი ერთი სიტყვითაც არ აღნიშნეს, ჩვენც მათი ასეთი საქციელი ძალიან გვაკვირვებს: ვერ გაგვიგია, თუ რამ აიძულა ისინი ასე მოქცეულიყვნენ; მით უმეტეს, რომ მათი მეთაურობით განსაკუთრებული შეკითხვაც კი იყო ებრაელთა შესახებ შეტანილი.

საიდანაც აშკარაა, რომ ისინი დაჩაგრულ ერის ინტერესების მედგარი დამცველნი არიან; მათი საქციელი ამ შემთხვევაში ქართველების შესახებ ს. დ. პროგრამა-ტაქტიკიდან სულაც არ გამომდინარეობს.

ერთი სიტყვით შეიძლება მხოლოდ ითქვას ის, რომ ჩვენი დეპუტატები აქ რაღაც ისეთი მოსაზრებით თუ ხელმძღვანელობდენ, რომლის შესახებ დღეს ვერაფერს ვიტყვით და ვერაფერს დავწერთ, ამიტომ ჩვენ ისევ შეკითხვით უნდა დავკმაყოფილდეთ და ისევ დეპუტატებს მივმართოთ: აგვიხსნან, განგვიმარტონ, თუ როგორ მოხდა ეს.

სხვაფრივ კი ჩვენ გვჯერა, რომ ისინი, რომელსაც ჩვენი სიამაყე, ჩვენი დიდი მგოსანი ტკბილ გამამხნევებელ სიგალობელს უმღერდა თავის **მშრომელ ერს** არას დროს არ დაივიწყებენ და რუსეთის ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებთან ერთად, როგორც რუსის ხალხს ისე ქართველ ერს წინ გაუძღვება, „აღთქმულ ქვეყანაში“ უშიშრათ და უვნებლათ შეიყვანს!

განა თუ დაგვავიწყდათ ჩვენი დიდებული აკაკის შემდეგი იმედ აღმძვრელი და გამამხნევებელი სიტყვები?!

„იქ ვხედავ მეთაურებსა
კან გამოცვლილათ სულ ყველას,
როგორც მყრალ ჭიათ ყოფილსა
აბრეშუმისა პეპელას!

. . . . . . . . .

„შრომობენ მოციქულებრივ,
თავი არ მოაქვთ დიდათა
და კერძოს საზოგადოსთვის
აგებენ გზათ და ხიდათა“!..

**გიგო დემოსიძე.**

## „ჩვენებური საქმიანობა“.

ძალაუნებურათ გვიხდება ამ კარგი სიტყვების დამამცირებელ ბრჭყალებში ჩასმა! განა **საქმიანობაა**, ის, რასაც დღეს „სახალხო გაზეთი“ აცხადებს თავის ფურცლებზე?

ჩვენ რედაქციაში მოვიდნენ ბ-ნნი მიხეილ დავითის ძე ჭავჭავაძე და შალვა ამირეჯიბი, სთქვეს, გაზეთ „საქართველო“-ს რწმუნებულები ვართო და განაცხადეს: რადგანაც გაზეთ „საქართველო“-ს რედაქციის კოლეგია თავის თავს სცნობს შეურაცხყოფილად „სახალხო ფურცელი“-ს რედაქციისაგან, პირველი უკანასკნელსა სთხოვს დაკმაყოფილებას განსაზღვრულ წესითაო.

ჩვენი რედაქცია არაკულტურულ საშუალებადა სცნობს იმ წესს, რომელზედაც „საქართველო“-ს რწმუნებულნი გველაპარაკებოდნენ და ამიტომ უარს ამბობს ამ წინადადებაზე. მაგრამ ამასთანავე რედაქცია აღნიშნავს, რომ თუ „საქართველო“-ს რედაქცია თავის თავს შეურაცხყოფილადა ჰგრძნობს, არსებობს მრავალი კულტურული საშუალება შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, მაგალითად, სამედიატორო სასამართლო.

„სახალხო ფურცლის რედაქცია“.

რა მოხდა, რა იყო ისეთი, რომ ერთი **ქართული** რედაქცია მეორე **ქართულ** რედაქციას „დაკმაყოფილებასა სთხოვს განსაზღვრულის წესით?“

ბ-ნ გოგიჩაიშვილს,—„სახალხოს“ კანდიდატს—თფილისის სამეურნეო ბანკის დირექტორობა უნდოდა, ბ-ნმა ადამაშვილმა—„საქართველოს“ —თანამშრომელმა რაღაც უმგვანობა წამოროშა და **რედაქციები** კი ერთმანეთს „განსაზღვრული წესით დაკმაყოფილებასა სთხოვენ“!

განა ეს არის საქმიანობა?

განა ამის მეტი ჯავრი აღარა აქვთ საქართველოსა და ქართველებს? სანამდის მივდივართ და რა ჰქვიან ასეთ საქციელს?

ამის შემდეგ განა მართალნი არ არიან ჩვენი მოპირდაპირენი, როცა მხოლოდ მყვირალობას გვიკიჟინებენ?

ამის შემდეგ ვიღას შეუძლია გვიკიჟინოს, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ მომავალი მხოლოდ იმათ შეუძლია შექმნან, ვისაც მტკიცე ორგანიზაცია აქვთ და შეერთებული ძალებით ემსახურებიან არჩეულ იდეალს, არჩეულ გზას!

ამის შემდეგ განა უნდა გაგვიკვირდეს—როცა ჩვენი მტერ-მოყვარენი სიცილს გვაყრიან და ისეთი გაზეთუნებიც კი, როგორიც თუნდა „კუტაისკი ვესტი“-ა ჰკუას გვარიგებენ?..

მახლას, სომხისა არ იყოს!

რაღა გვეთქმის?...

## დეპეშა.

### მეორე ხარისხის მოლაშქრეთა გაწვევა.

**პეტროგრადი.** 25 აგვისტო. ოფიციალური. კანონი მეორე ხარისხის სახელმწიფო მოლაშქრეთა მოწვევისა და დანიშვნაზე მოქმედი წესების შეცვლისა: შეცვლა და დამატება სამხედრო ბეგარის წესდებისა 410, 427, 437 და 441 მუხლთა დღევანდელი ომისათვის: 1) მეორე ხარისხის მოლაშქრენი ინიშნებიან, როგორც მოლაშქრეთა ჯარებში, ისე მუდმივ ჯარების შემადგენლობის შესავსებათ; 2) მეორე ხარისხის მოლაშქრეთა მოწვევის საჭიროება გამოქვეყნებული იქნება ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი მანიფესტით, მოლაშქრეთა ხნოვანება, ვადა და ადგილი, საიდანაც ისინი იქნებიან გაწვეულნი ეუწყება უმაღლესი უკაზით უმართებულესს სენატს. 3) გასაწვევ მეორე ხარისხოვან მოლაშქრეთა საერთო რიცხვი განაწილებული იქნება გუბერნიებსა და მაზრებზე, აგრეთვე ჩარიცხული იქნებიან მოლაშქრეთა ნაწილებში და კომანდებში მუდმივ ჯარის გასაძლიერებლათ, სამხედრო სამინისტროს განსაკუთრებულ განკარგულებით და შეთანხმებით შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, დამტკიცებული უმაღლესი მთავრობისაგან; 4) მეორე ხარისხოვან მოლაშქრეთ მიეცემათ სამი დღის ვადა შინაური საქმეების მოსაწესრიგებლათ დღიდან მათის გაწვევისა, რომელნიც უნდა გამოცხადდენ ამ განცხადებებში აღნიშნულ ვადაზე თავმოსაყრელ პუნქტებზე. სამხედრო საკრებულოს წესდების მეორე მუხლები 428, 429, 432, 434, 429, 462, 464, და 471 მეორე ხარისხოვან სახელმწიფო მოლაშქრეებზე იქნება გავრცელებული.

## ახალი ამბავი

### ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნიის სანიტარულმა კომისიამ დაადგინა გაავრცელოს თავისი მოქმედება ხოლერის საწინააღმდეგოთ გუბერნიის ყველა მაზრასა და ქალაქებში და აგრეთვე სოხუმის ოლქში. საგუბერნიო სამართველოს საექიმო განყოფილებამ ეს დადგენილება ყველა სანიტარულ კომისიების თავმჯდომარეებს აცნობა!

✦ ამ რამდენსამე დღის წინათ ქ. ეკატერინოდარიდან 13—14 წლ. 50 ბავშვი ჩამოვიდა. ბავშვებმა ქუთაისის პოლიცმეისტერს შუამდგომლობით მიმართეს და სთხოვეს მოხალისეებათ მიეღოთ. ბ. პოლიცმეისტერმა ამის შესახებ განკარგულება მოახდინა, მაგრამ ისინი მცირე წლოვნობის გამო, არ მიიღეს. ყმაწვილები გუშინ ისევ უკანვე გაისტუმრეს.

✦ დუნდუას ქალთა პროფესიონალურ შკოლაში მოსწავლეთა მიღება და გამოცდები 28 აგვისტოდან დაიწყება, სწავლა კი 1 ენკენისთვიდან. ჯარში გაწვეულ მეომართა შვილები უფასოდ მიიღებიან.

✦ კავკასიის პირველი კორპუსის „ობოზნი“ კამანდაში ყარსსა და ოლთს შუა მყოფი ჯარისკაცი გრიგოლ ამბაკოს ძე საკანდელიძე ეს ერთი ხანია აღარ სჩანს. სთხოვენ, თუ ვისმეს რამე ცნობა აქვს მის შესახებ, აცნობონ ქუთაისში როსტოვის სასტუმროში კოლია საკანდელიძეს.

✦ გუშინდელ გაზეთში მოთავსებული, ცნობა, რომ საურთიერთო ნდობის ბანკის მოგებიდან ტეხნიკურ ცოდნათა გასავრცელებლათ შენახული ფული გადაეცეს კომერც. ცოდნ[illegible] საზოგადოებას, მართალი არ გამოდგა. პირ[illegible] ტეხნიკურ ცოდნათა გასავრცელებლათ, არ უნდა გადაეცეს კომერციულ ცოდნათა გამავრცელებელ საზოგადოებას.

✦ ხვალ, 28 აგვისტოს, შავიქვის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქართ. მორ. წ. კითხ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის კრება,

✦ სათადარიგო ჯარის კაცების შემოწმება მაზრის სამხედრო საკრებულოში 29 აგვისტოს დასრულდება.

✦ მოკლე მომავალში სამხედრო საკრებულო შეამოწმებს იმ პირებს, ვინც სრულებით გათავისუფლებულია სამხედრო ბეგარისაგან და მიცემული აქვთ თეთრი ბილეთები. შემოწმებული იქნებიან აგრეთვე, ვისაც თითო წლის ვადა აქვთ მიცემული.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა შეუდგა ქუთაისის ქუჩებში წყალის გადასადუღებლათ ქვაბების დადგმის

✦ შავიქვის საბჭომ ამიერკავკასიის რკინის გზიის სამართველოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ გაკეთდეს ჭიათურის რკინის გზის ლიანდაგზე რამდენიმე გადასასვლელი

✦ **ლექცია მ. წულუკიძისა.** შაბათს, 29 აგვისტოს, ქალაქის თეატრში **მ. წულუკიძე** წაიკითხავს ლექციას: „**ვაჟა-ფშაველა**“. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზდა ქართველი მწერლები. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.


## ხელის მომწერთა საყურადღებოდ

გაზ. „სამშობლოს“ კანტორა პატივისცემით მოაგონებს იმ ხელის მომწერთ, [illegible]

[illegible] 3 მ. და 1 აბაზი.

გაზ. „სამშობლოს“ რედაქცია და კანტორა.

# დავეხმაროთ საფირჩხიის სამკითხველოს.

დიდათ შესანიშნავი იყო ის დღე, როდესაც საფირჩხიის მცხოვრებთ სამკითხველოს დაარსება ეღირსათ. თითოეული ადამიანი ამ დიდებულ განძს შეხაროდა. ვით სალაროს სიმდიდრისას, სადაც მას შეეძლო გონებრივ ზნეობრივათ დამტკბარიყო. მართლაც, დღეს ხეირიანათ დაყენებულ სამკითხველოს დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს საზოგადოებას განათლების მხრივ, მას შეუძლია იგი ჟურნალ-გაზეთებს შეაჩვიოს და ამით მწიგნობრობა შეაყვაროს. მგონი, საღვთო წერილში ერთ ადგილს ასე სწერია: არა მცოდნე წერილისა ცხოვრებაში იკარგებისო და—მართალიც არის, თვით გურამიშვილმაც ასე დაახასიათა უსწავლელი ადამიანი: „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს გასტანჯავს წუთისოფელიო". ხშირათ შემინიშნავს, რომ „როდესაც უსწავლელი კაცი მოხუცებულობის ხანაში გადადის, მხოლოდ მაშინ ამბობს: „სწავლა რომ შემეძინა ჩემს ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფდაო", მაგრამ ყველას როდი აქვს საშუალება სწავლის შეძენის, თითოეულს თითო დამაბრკოლებელი მიზეზი აქვს: ზოგს სალსარი ხელს უშლის, ზოგს-სიზარმაცე და ზოგსაც-ნიჭი. ორი მიზეზის მოსპობა ყოველ დროს შესაძლებელია თუ მახლობელმა ამისთვის თავი გაიმეტა და პირად უზრუნველყოფას არ გაყვა. უსახსრო ადამიანს, რომელსაც სწავლის მონდომება აქვს, მას ხელი უნდა გავუწოდოთ, ბევრით თუ ვერა, ცოტათი მაინც შემწეობა აღმოვუჩინოთ, ნარ-ეკლიანი გზის გაკაფვის საშუალება მივსცეთ და მერე შენდა დაუხმარებლადაც შეუძლია სწორ გზას დაადგეს და ხრამებში არ გადიჩეხოს. არ უნდა გავყვეთ ბოდბელისებურ ანდაზას: „ჩემს იქით ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო", ჩვენ მხოლოდ საზოგადო ინტერესი უნდა გვქონდეს და თუ თითოეული წევრი ერისა ყოველისფრით უზრუნველყოფელი იქნება—მაშინ თვით ერიც ბედნიერია და ტანჯვას სრულიად აღარ განიცდის. მეორე მიზეზიც ადვილი ასაცილებელია, თუ მონდომება იქნა, ვინაიდან მონდომების გამო „ქადაც ორივე ხელით იჭმება", მაგრამ აქ კი ადამიანი სხვაგვარათ უნდა მოიქცეს. აქ, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა უფრო მაგალითს აქვს. მაგალითი არის მეორე ღირსშესანიშნავი დამრიგებელი, მაგალითის ადამიანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ქონია და ქართულ გენიოსობასაც ეს ანდაზათ უქცევია: „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო". რუსებს კი მაგალითის მნიშვნელობა შემდეგს სიტყვებში აქვს გამოთქმული: „მითხარ, ვისაც იცნობ, და მე გეტყვი ვინც ხარ შენო", აი, ეს ორი ერის ჭკუა გონების ნაყოფი, რომელიც აწონდაწონილია და მერე გამოქვეყნებული. დიახ, ადვილია ადამიანის დახმარება, მაგრამ მონდომებაა საჭირო.

ასეთივე დახმარებას საჭიროებს სკოლა. სამკითხველო და კოოპერატიული თუ სხვა რაიმე დაწესებულება. ის ერი არის მხოლოდ მდიდარი და ფეხ მოდგმული, რომელსაც სკოლა, სამკითხველო და კოოპერატიული თუ სხვა დაწესებულებათ ბევრი აქვს. მაგრამ თითოეულ ადამიანს არ აქვს ძალა შექმნას სხვისდა დაუხმარებლად ასეთი ძალა ერისა და ამიტომ მასში, მის დაარსებაში თვით ერი მონაწილეობას უნდა ღებულობდეს.

ჩემი უმთავრესი მიზანი იყო, მკითხველი საზოგადოება საფირჩხიის სამკითხველოთი დამეინტერესებია, რომელიც სულ ახლო დროში საფირჩხიის ამაღლების ეკლესიის ახლოს დაარსდა. დიდი იყო სურვილი მისი დაარსების და ეს სურვილი წერა-კითხვის საზოგადოებამ კიდეც განახორციელა. მაგრამ მარტო დაარსებით საქმე არა მგონია წინ წავიდეს, თუ მას გარეშე დახმარება არ აღმოუჩინა და ამით უზრუნველი არ გახადა. გარეშესაგან ბევრჯერ მსმენია: „რომ სკამი შიგ არ არის, ადამიანი დაჯდესო, გაზეთი არ არის, რომ წაიკითხოსო და ოთახიც პატარაა, რის გამოც ადამიანს სული ეხუთებაო". დიახ, ყოველივე ეს მართალია, მაგრამ ყოველივე ეს ფულზე, ფულზეა დამოკიდებული, რომელიც სამკითხველოს არ აქვს. ფული რომ იყოს: სკამს იყიდის, ჟურნალ-გაზეთს გამოიწერს, ოთახსაც გააფართოვებს და ამით ერთი ორათ გაადიდებს სამკითხველოში მოსიარულეთ.

მაშ ჩვენი ვალია გავამდიდროთ იგი, საშუალება აღმოვუჩინოთ და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ის იქნება სალარო, სადაც ჩვენ და აგრეთვე მომავალი თაობა სულიერ საზრდოს მიიღებს და ამით ჩვენვე ყოველ მხრივ აგვამაღლებს.

მაშ, გამიოღეთ თქვენი წვლილი, დაეხმარეთ სამკითხველოს: ფულით, წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით. გახსოვდესთ, რომ „გამცემ ხელს არაფერი დააკლდება". **ს. წერეთელი**

## ქუთაისის „რუსული გაზეთი".

(წერილი სოფლიდან).

საქართველოს ცხოვრება—ეს ერთგვარი მრავალფეროვანი სურათია ტანჯვისა, სისხლის ღვრისა და ყოველივე უბედურებისა. გარს შემორტყმული მეზობლები მუდამ აწიოკებდენ და აოხრებდენ საქართველოს და საშუალებას უკარგავდენ მას ეკონომიურად და კულტურულად განვითარებულიყო. მუდამ იარაღ შესხმული საქართველო მედგრად და ვაჟ-კაცურად იცავდა თავის თვით არსებობას, მაგრამ ბოლოს ბედმა უმტყუნა და სამშობლოს ბედ-იღბლის გადამწყვეტნი სხვანი შეიქნენ.

გარემოებით ცუდ პირობებში ჩავარდა ჩვენი სამშობლო, როდესაც დაეცა ბიზანტია და საქართველოს გარს ეხვია ორი დაუძინებელი და ძლიერი მტერი—სპარსეთი და ოსმალეთი. მათგან აწიოკება და აოხრება არა ერთხელ და ორხელ ახსოვს ჩვენს მრავალტანჯულ ერს, მაგრამ მე XVIII საუკუნეში ვერ შესძლო გამკლავებოდა მტერს და თავშესაფერის ძებნა იწყო.

მის თვალ წინ წარმოიშვა მეტად მწვავე პრობლემა: ან მაჰმადიანთა ერს უნდა შეფარებოდა, ან და რუსეთს მის ერთ მორწმუნეს. საქართველოს ბედის ბორბალი რუსეთისაკენ გადიხარა და 1783 წელს მასთან ხელშეკრულობა დასდო, რომლის ძალითაც რუსეთი ქართველთა ერის მფარველი შეიქნა.

სწორედ ეს ისტორიული მომენტი იყო იმის მიზეზი, რომ საქართველოს მრავალი პირი ხსნას რუსეთთან შეერთებისაგან ელოდა და ყოველივე საშუალებით მის ძლიერებას ხელს უწყობდა. საუკეთესო ნიჭით აღსავსე შვილნი საქართველოისა სწორედ ამ გზას დაადგენ და რუსეთისადმი ლოიალიზმით გამსჭვალულნი, თავის ერის საჭირო საქმეების გადაწყვეტაშიაც თავს არ იზოგავდენ, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ პიროვნება, თუ კი ის პრინციპიალურად მოქმედობს, ღმერთს და მამონს ერთ და იგივე დროს ვერ ემსახურება. ამიტომ ლოიალიზმს მალე თავის შედეგიც მოჰყვა და ქართველ ერის წინაშე გაცილებით მეტი მწვავე ხასიათის პრობლემა წარმოიშვა-ან სლოვიანთა ერთან სრულიად გათქვეფა, ან და ეროვნული სახის, ეროვნული სულის შენარჩუნება. რა გასაკვირალია, თუ მცირედი გამონაკლისით, ქართველი ინტელიგენცია ამ უკანასკნელ გზას დაადგა და შეძლებისდაგვარად სცდილობს ქართველ ერს მისი ეროვნული ზნე-ჩვეულება, სული ქართველობისა შეანარჩუნოს, არ დაუკარგოს. ამ მიზნის მისახწევათ მათ, განურჩევლად მიმართულებისა, თავი შეაფარეს ქართულ გაზეთის რედაქციებში, მაგრამ დარჩა უმცირესობა, რომელსაც ჰგონია, რომ ქართველი ერის ხსნა ქართული პრესით, ქართული სიტყვით შეუძლებელია, საჭიროა მხოლოდ რუსული ორგანო, რათა რუსეთის საზოგადოებამ და მთავრობამ დაინახოს ქართველი ერის სულის კვეთება, მისი ლხინი გაჭირვება. და მართლაც, რამოდენიმე რუსული გაზეთიც დაარსდა.

ჩვენს პრესაში რამოდენიმეჯერ იქნა გამომჟღავნებული ქართველი ინტელიგენციის გულისწყრომა ამგვარი პრესის წინაამდეგ, მაგრამ მათი ხმა შეუწყნარებელი იქნა და პროტესტი პროტესტათვე დარჩა და რუსული გაზეთების რიცხვი თუ გვემატება, თორემ არ გვაკლდება.

ამ ჟამათ ქუთაისშიაც კვლავ დაარსდა ეგრეთ წოდებული „ქუთ. ვესტი", მიუხედავათ იმისა, რომ დამაარსებელთ კარგათ სცოდნიათ საზოგადოთ რუსული გაზეთის ბედ-იღბალი ქუთაისში.

პირველად ეს გაზეთი სხვა და სხვა განცხადებებით იყო აჭრელებული და რამოდენიმე სააგენტო დეპეშა ჰქონდა მოთავსებული, დღეს კი მას ქართველი ერის მესაიდუმლეთ გამოუყვია თავი და თავს არ იზოგავს, რათა დაუმტკიცოს საზოგადოებას თავის-თავის საჭიროება. ქართველი ერის ჭირ-ვარამი, მისი გულის წუხილი და სევდა არ არის მთავრობისაგან გათვალისწინებული და ამის მიხწევა კი საჭიროა. როგორ, რა საშუალებით? ქართველმა პრესამ ვითომც ვერ შესძლო. ეს (?), მაშასადამე საჭიროა ორგანო, რომელიც ეროვნულ საკითხის პოლიტიკურ პრობლემასრუსულ ენაზე წამოაყენებს

ჩემის აზრით არც ერთი ინტელიგენტი არ იქნება იმგვარ ორგანოს წინაამდეგი, რომელიც პრინციპიალურად წამოაყენებს ამ საკითხს და თავის პლატფორმას მედგრად და მხნეთ დაიცავს. დღეს მით უმეტეს საჭიროა ამგვარი ორგანო, მაგრამ არც იმდენად გულუბრიყვლოა ქართველი საზოგადოება რომ ვერა შეამჩნიოს „ქუთაისის ვესტის" მეთაურებს სწორედ ეს დიადი ნაკლულოვანება. შეიძლება ქართველების დაბეზღება*) შეუძლიათ ვინმეს წინაშე და არა მისი ჭირ-ვარამის, მისი გაჭირვების შემცირება და ამგვარ პრესას კი გარდა მავნებლობისა, არა შეუძლია რა მოუტანოს ჩვენს მშრომელ ხალხს.

„ქუტაისკია ვესტი" ეროვნულ საკითხს პრობლემათ კი არა ჰქმნის არამედ ხელს უწყობს ქართველი ერის დენაციონალიზაციას, საზოგადოებრივი აზროვნებას რყვნის და ძირს უთხრის იმ ხიდს, რომლის გადაგდებას სცდილობს ქართველი ინტელეგენცია, რათა მშრომელი ხალხის და მისი კონცენტრაცია მოხდეს, მაგრამ, როგორც მის წინაპართ ჰქონდათ დღე ნაკლული, აგრეთვე დიდი და ხანგრძლივი სიცოცხლის მაჩვენებელი არ არის „ქუთ. ვესტ." ამის დამამტკიცებელ საბუთს თვით ეს ორგანო იძლევა, რომელიც ძლიერ შეწუხებულა იმ მოვლენით, რომ ქუთაისის ქართველი საზოგადოება მას სიხარულით არ შეეგება და მასზე ხელის მოწერით არ უზრუნველ ჰყვეს მისი მატერიალური მხარე. უკვე უგვრძნიათ მათ, რომ ქუთაისში ბევრი ყოფილა იმგვარი ინტელიგენტები, რომელნიც შესაფერ მსჯავრს იქონიებენ ამგვარ პრესის შესახებ და ექიმთან ერთად, იმ ექიმთან, რომელსაც „ქუთ. ვეს." ხელი არ მოუწერია, უკუ აგდებენ „ქუთ. ვეს." პრესას და ხელს შეუწყობენ ეროვნულ კულტურის განმტკიცებას.

განსაკუთრებით მავნებელი ხასიათი აქვს „ჩვენებურ" რუსულ პრესას სოფლელებზე. ხშირად შეხვდებით სოფლელს, რომელიც სჯა-ბაასობის დროს ხმარობს სიტყვებს: „კრუგომ", „ნეუჟელი", „პრიამოთ" და სხვა მრავალი. ამაზე მეტი დამახინჯება ჩვენი წმინდათა წმინდისა შესაძლებელია?! და სწორეთ ამ დამახინჯებას, „კუტ. ვესტისთანა" უანბანო გაზეთუკები ჩვენს გადაგვარებას ხელს უწყობს, რომელიც ჯერ კიდევ სადღაც სოფლის ინტელიგენტთა შორის და მის ეროვნულ სულს, ეროვნულ სახეს ამახინჯებს და ჰრყვნის, მათი საშუალებით კი მახინჯდება ქართული ენა ღლეხთა შორის.

„ქუთ. ვეს." თურმე ქართველების გულშემატკივარი ყოფილა, მაგრამ თუ მას ქართველების ბედ-იღბალი აინტერესებს, თუ მისი მუშაკნი ლხინში და მეტადრე გაჭირვებაში მხარში გვიდგანან, დროა შეიგნონ, რომ თვის არსებობით დიდ დანაშაულს სჩადიან ქართველი ერის წინაშე და აწი მაინც თავი გაანებონ ყოველგვარ პოლიტიკანობას.*)

**ლევან გეგუთელი.**

*) იხილე „ქუთ. ვესტის" 13 აგვისტოს ნომერი.

*) ვიდრე „კუტაისსკია ვესტი" „განცხადებათა ფურცელი" იყო ჩვენ ხმა არ გაგვიცია, მაგრამ როცა ამ „გაზეთმა" უმგვანო და უმართებულო ხელის ფათური დაიწყო ჩვენს—ქართველთა ცხოვრებაში თავის დროზე ვამხილეთ იგი და შესაფერი სახელიც ვუწოდეთ.

ჩვენს სამართლიან აღშფოთებას ეს „გაზეთი" **ბუშმანურის** უტიფრობით შეხვდა და ამის შემდეგ პასუხის ღირსადაც აღარ ვსთვლით მას.

ბ-ნ ლევან გეგუთელის წერილს კი ვბეჭდავთ, როგორც ნიმუშს პროვინციელ ქართველის სამართლიან გულის წყრომისას. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ „კუტ. ვესტის" არსებობისათვის ჩვენ ამდენათ არ ვამტყუნებთ არც მის **სომეხ**-რედაქტორს და არც მის **ებრაელ**-გამომცემელს-ლუკმა პურის შოვნის უფლება ყველასა აქვს, ჩვენ ვამტყუნებთ მხოლოდ და მხოლოდ მის **ქართველ** თანამშრომლებსა და მკითხველებს.

ალბათ ჯერ ამდენათ ვერ მოვმწიფებულვართ, რომ ჩვენს დასაკლავ დანას ჩვენვე ვერა ვხედავთ და „ოსპის შეჭამადზე" ვყიდით ქართულ პრესასაც და ქართულ საქმიანობასაც!.. **რედ.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# —| ა ბ ა ნ ო. |—

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით. თ.

# თ. მთავრიშვილის და ამხ.

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

## ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.